# „გენდერული დისბალანსი ქართულ სტარტაპებში“

მარიამ გაგნიძე

ნათია ჭანტურია

თამარ ჩიბირაშვილი

*ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბისნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი, მენეჯმენტი): მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გაგნიძე

ნათია ჭანტურია

თამარ ჩიბირაშვილი

თარიღი: 01.07.2020

# აბსტრაქტი

კონკურენტული ბიზნეს გარემოს გათვალისწინებით, სულ უფრო მეტად მკვიდრდება სტარტაპ ბიზნესის მხარდაჭერის აქტუალობა. სტარტაპ ბიზნესის მხარდაჭერა ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მნიშვნელოვან ფაქტორად ყალიბდება, როგორც ერთ-ერთი განმაპირობებელი ინსტუმენტი ქვეყნის ეკონომიკური და ბიზნეს პოტენციალის განვითარებისათვის.

სტარტაპ ბიზნესი რეალურ გარემოშისაკმაოდ დიდი სისწრაფით და აქტუალობით შემოიჭრა და ბიზნეს ეკოსისტემა სრულიად გარდაქმნა. იმ ფონზე, როდესაც აღნიშნული სფეროთვალსაჩინოდ მაღალი განვითარების ტენდენციებით გამოირჩევა, აქტუალური საკითხია გენდერული დისბალანსის არსებობის შესწავლა ბიზნესსა თუ ეკონომიკაში.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს გენდერული დისბალანსის თავისებურებებს სტარტაპებში, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს ბიზნეს გარემოს ხელშეწყობის ჭრილში. ზემოაღნიშნული მიმართულებით ჩაღრმავებული კვლევები ნაკლებად განხორციელებულა საქართველოში და სწორედ აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი იკვლევს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ გენდერულ დისბალანსს ქართულ სტარტაპებში.

**Abstract**

Given the competitive business environment, the relevance of startup business is becoming increasingly important. Startup business support is a significant factor in stimulating the economic development of many countries, as one of the driving forces in the economy.

Startup business has entered in the real environment with great speed and significance, and has completely transformed the business ecosystem. Due to the backdrop of the startup business with visible high development trends, the current issue is the existence of a gender imbalance in the business and economic sphere.

The present master's thesis explores the peculiarities of gender imbalance in startups as an important factor in promoting the business environment. A small number of in-depth research in this area has been conducted in Georgia, and this thesis is dedicated to examine the factors, whichcause these issues in Georgian startups.